jober.ge

https://www.jober.ge

https://jober.ge/ka/განცხადებები/-GEO928927

2019-10-10

ვაკანსიის აღწერა

უძრავი ქონების აგენტი

GEO928927

ც. დადიანის ქ. #7

განათლება : საშუალო

გამოცდილება : 1 წლიდან - 3 წლამდე

სექტორები : უძრავი ქონება

კონტრაქტი : გრძელვადიანი კონტრაქტი

სასურველი სამუშაო საათები : სრული განაკვეთი

ვაკანსიის მდებარეობა



ვაკანსიის დეტალები

უძრავი ქონების კომპანია "SuperBroker " აცხადებს ვაკანსიას ბროკერის პოზიციაზე.

სამსახურის ადგილმდებარეობა: თბილისი, დადიანის 7, სავაჭრო ცენტრი ქარვასლა
სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი
სამუშაო დღეები/საათები: ყოველდღე (კვირის გარდა) 10:00-18:00; შაბათი 10:00-13:00
ადგილების რაოდენობა: 1

სამუშაოს მიზანი: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციებით დაინტერესებული პირებისთვის პროფესიონალური მომსახურების გაწევა, ხარისხიანი მომსახურებით მომხმარებელთა კმაყოფილების მიღწევა,

კომპანიისა და პირადი, როგორც საერთო მიზნების მიღწევისთვის მუშაობა.

ძირითადი მოვალეობები:

• უძრავი ქონების შესახებ კომპანიის ვებ გვერდზე არსებული განცხადებების დეტალურად შესწავლა, მუდმივი განახლება და ინფორმაციის დახვეწა.
• უძრავი ქონებისთვის ფოტოების გადაღება, ვებ გვერდზე განთავსება
• დაინტერესებული პირის მოთხოვნების შესაბამისად ბაზაში არსებული უძრავი ქონების რესურსის შეთავაზება დროულა
• დაინტერესებულ პირთათვის ამომწურავი კონსულტაციის გაწევა, როგორც სატელეფონო და ელექტრონული ფოსტით, ისე პირისპირ გასაუბრების გზით
• მსურველთათვის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება
• უძრავი ქონებით დაინტერესებულ პირებთან მუდმივი კომუნიკაცია და შუამდგომლობა
• დაინტერესებულ პირებთან ეფექტური საქმიანი და პიროვნული ურთიერთობის დამყარება.

ძირითადი მოთხოვნებები:

მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება, სასურველია უძრავ ქონებასთან და/ან გაყიდვების სფეროში მუშაობის გამოცდილება
* Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ელექტრონული ფოსტისა და ინტერნეტის კარგად ცოდნა
ქართული ენის ძალიან კარგად, რუსული და ინგლისური ენის სასაუბრო დონეზე ცოდნა.

უნარები და პიროვნული თვისებები:

სამუშაოს დაგეგმვის, ორგანიზების, დროის მართვის უნარი
ინფორმაციის სწრაფად მოძიების, პრიორიტეტების გამოყოფის, ანალიზისა და ლოგიკურად დაკავშირების უნარი
ეფექტური კომუნიკაციიის უნარი
პრეზენტაციის უნარი
დეტალებზე ორიენტაციის უნარი
სხვადასხვა ამოცანაზე ერთდროულად მუშაობის უნარი
ინდივიდუალურად და ჯგუფურად მუშაობის უნარი
სიახლისადმი და პროფესიული განვითარებისადმი მზაობა.

სუპერ ბროკერი გთავაზობთ:

• ყველაზე აქტუალურ, თანამედროვე, საინტერესო და პასუხისმგებლიან სამუშაოს
• პროფესიული განვითარებისა და მაღალი ანაზღაურების შესაძლებლობას
• კეთილგანწყობილ თანამრომლებს და • მუშაობას კომპანიაში, რომლის ორგანიზაციული კულტურა აგებულია პატივისცემასა და შრომისმოყვარეობაზე.
• ჩვეული რუტინული ცხოვრების რადიკალურად უკეთესობისკენ შეცვლის შესაძლებლობას!

ანაზღაურება: დამოკიდებულია ბროკერის მიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების რაოდენობასა და ღირებულებაზე პროცენტული და ასევე ბონუსური ანაზღაურებით.

დამატებითი ინფორმაცია:

ბროკერთა შესარჩევი კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად:

* რეზიუმეების (CV) გადარჩევა მითითებული ძირითადი მოთხოვნების მიხედვით
* გასაუბრება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ქართულ ენაზე, ფოტოსურათით.
შემდეგ მისამართზე: contact@netiko.ge
გთხოვთ, სათაურის ზოლში აუცილებლად მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება. წინააღმდეგ შემთვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.
წარმატებებს გისურვებთ!

კონტაქტი